საქართველოს კომუნისტურ-ინტერნაციონალი (ბოლშევიკები)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტი

ხუთშაბათი, 25 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მასკვიტის ქ. № 3 მეორე სართულში. ფასი ერთ ხელის ნომერთათვის ადგილობრივ 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 103 უმაღლესი ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა № 103

დაპყრობა თუ დაკავება

სრულიათაც არ არის მოულოდნელი, შირე ამ საქმეში საბჭოთა რუსეთი იქნებოდა. ინგლისის იმპერიალისტურმა ინგლისმა თავისი მტაცებლური მიზნების განსახორციელებლათ ქალ. ბათუმის დაპყრობა მოინდომოს. პირიქით, უკანასკნელ დროს შექმნილი ძალით ურთიერთობა მსოფლიო ასპარეზზე მებრძოლ ორი გიგანტის შუა—საბჭოთა რუსეთსა და ანტანტას შუა—აშკარათ ეუბნება ყველას, რომ ეს საფრთხე არც ისე შორსაა. სამშინლათ დამარცხებული უზარმაზარ ფრონტზე, დაწყებული ფინლიანდიის საზღვრებიდან და გათავებული ყირიმის ნაპირებით—ანტანტა, თვით საბჭოთა მსვლელობის ძალდატანებით იძულებულია ასეთ ავანტიურაში ჩაება: ის ფიქრობს კიდევ სცადოს ბედი და ასეთ ცდას მანამდი არ მოიშლის, სანამ მისი ძალა სავსებით არ განადგურდება.

საბჭოთა რუსეთი ანტანტის დამპყრობელ გეგმებს წინ ეღობება და სრულიათ გარკვევით გამოდის ბათუმის დამცველათ და ამავე დროს საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველათაც.

როგორ უყურებს ამ საკითხს თვით საქართველო, ან, უფრო სწორეთ, რომ ეთქვათ, მისი მმართველი წრეები?

დამახასიათებელია, რომ ჰატარა და სუსტი საქართველო მისი ოფიციალური ენით არავითარი შიშს არ განიცდის ამ [illegible] და ბათუმის დაპყრობის შესახებ ცნობები თითქმის ფანტაზიის უქმ ნაყოფათ მიაჩნია. „ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი ცნობა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ყოფილიყოს საფუძვლიანათ ჩაგვეთვალა ხმები ბათუმის ვითომდა მოსალოდნელ დაპყრობის შესახებ.“ ასეთი ოპტიმისტური კილოთი ლაპარაკობს საქართველოს მთავრობის ოფიციალური ნოტა ამ მთელი ქვეყნისთვის ცხოვლათ საინტერესო საკითხის გამო.

რასაკვირველია ოპტიმისტობა სჯობია პანიკის გრძნობას. მაგრამ საკითხავია, რაზეა დამყარებული ასეთი ოპტიმიზმი?

თუ საშიშროება რეალურათ მოგვეევლინება, რით უნდა გაუმკლავდეს ჰატარა საქართველო ქვეყნის მყლაპავ ანტანტას? ამ კითხვაზე მენშევიკები ისე გულადათ უპასუხებენ, რომ ერთი შეხედვით გაკვირვებს მათი ასეთი მამაცობა.

„საქართველოს ხალხი—იკვეხიან ისინი—შესძლებს მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველ ცდას მისი სუვერენიტეტის დასარღვევათ, ან მისი ტერიტორიის წინააღმდეგ მიმართულს, ვისგანაც და რა მოსაზრებითაც უნდა მოხდეს ასეთი ცდა“.

თუმცა აქ გარკვევით არ არის ნათქვამი, ნაგრამ აზრთა მთელი მიმდინარეობიდან აშკარაა, რომ ქართველი ხალხი მტკიცე წინააღმდეგობას გაუწევს იმპერიალისტურ ინგლისსაც, თუ მან სცადა საქართველოს ტერიტორიის შელახვა, იმ ტერიტორიის, რომლის ნაწილს უეჭველათ წარმოადგენს ქალ. ბათუმი. შაგრამ ეს ხომ ფუჭი სიტყვებია, თუ ბათუმს მართლა მოუშვირეს ინგლისის შორს-მსროლი ზარბაზნები. აშკარაა, რომ ჰატარა ქართველი ხალხი ვერაფერს გააწყობს ინგლისის ტრიესერების წინააღმდეგ. და განა ახლო წარსული კი იმას არ ამტკიცებს, რომ მტკიცე წინააღმდეგობის მისწრაფება მხოლოთლა კეთილ სურვილათ იქცევა არა მარტო ისეთი ძლიერი სახელმწიფოს მიმართ, როგორიც არის ინგლისი, არამედ ისეთი დასუსტებული ქვეყნის მიმართაც, როგორც 1918 წელს ოსმალეთი იყო?

მაგრამ იქნება საქართველოს რომელიმე მოკავშირის დახმარება ითმედებს? მისი ბუნებრივი და თან ძლიერი მოკავშირის „გარეშე“, მაშინ ხომ შესაძლოა, რომ ინგლისის მთავრობამ მოახერხოს ბათუმის მშვიდობიანი დაკავება და სულაც არ დასჭირდეს მას ამ ქალაქის ძალადატანებითი დაპყრობა. ამა თუ იმ გამოსვლის კინდ მოქმედების დახასიათება ხომ მეწშევიკების კაი ქეიფზე კიდია: საბჭოთა რუსეთი, რომელიც გამოდის ბათუმის დასაცავათ და ამ ქალაქის ერთეული ხალხისათვის შესანარჩუნებლათ, მაგრამ რომელიც ამის სჩადის „საქართველოს მთავრობის ცნობითა და თანხმობით“, თურმე, „ეფუძვარეა საქართველოსი.

ასეთია მენშევიკების ლოგიკა, რომლის მიხედვით ბათუმის დაპყრობელნი შესაძლოა დახასიათებულ იქნან როგორც ქართველი ხალხის მეგობრები, და იმავე ბათუმის დამცველნი, როგორც მხარეიანი იმპერიალისტები.

მაგრამ ისტორიას თავისი ლოგიკა აქვს. და თუ ბათუმის „გარშემო“ მართლა აინთება ბრძოლის ცეცხლი, ისტორიის მსჯავრის თანახმათ ბოლოთ ბათუმის დამცველები და ქართველი ხალხისათვის „ამოხსნელ“ „იმპერიალისტურ“ მისი შერჩენისათვის [illegible] ... ეიმის მიხედვით, თუ იგი ხდება „საქართველოს მთავრობის ცნობისა და თანხ-

არჩილ (როსტომ) დოლიძის ხსოვნას.

დღეს შესრულდა ორი, წელიწადი, რაც ქალ. ლანჩხუთში ჭუთი სოფელს გარეულმა ტვინის ანთებით ჩვენი საუკეთესო ამხანაგი არჩილ (როსტომ) დოლიძე.

არჩილ დოლიძეს, უფრო კი როსტომს (ასე ეძახდენ მას ამხ. პარტიაში) კარგათ იცნობდენ ჩვენი ძმრიანავ მუშები, როგორც თავდადებულ და თავგანწირულ მებრძოლს მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის.

არჩილი, როცა მან სასულიერო სემინარია გავთავა, უკვე ჩამოყალიბებული რევოლიუციონერი იყო. მარქსისტული მსოფლ-მხედველობით აღჭურვილი.

სემინარიის გათავებისთანავე ბოგიერთი ახალგაზრდების რჩევით არჩილი მიეგზავნა ბოგზალტერიის უმაღლეს კურსებზე. მარა არჩილს არ უსურვებლია ამ სპეციალობით, რადგან იმ ხანებში ამიერკავკასიაში ფეხს იდგამს მუშათა-მოძრაობა და არჩილიც ხელალებით და უკან დაუხედავათ გადაეშვა ამ ახლად აღმოცენებულ მუშათა ტალღებში.

1903 წელს რ. ს. დ. მ. პარტიის მეორე ყრილობაზე პარტია ორად გაიყო. ს. ი. მენშევიკ-ბალშევიკ[illegible] არჩილი იმითავითვე მიემხრო უყოყმანოდ ბოლშევიკებს.

არჩილისათვის იდეა — სოციალიზმი ყველაფერი იყო, მის გულისთვის ყველაფერს აიტანდა: სიცივეს, შიმშილს, ცეხვას და სხვა ბევრ რამეს.

როდესაც ფრაქციულმა უთანხმოებამ მწვავე ხასიათი მიიღო, ე. ი. როდესაც მენშევიკებმა ლიკვიდატორობა დაიწყეს, — „ეარაფიდენ“ ორალეგალური პარტიის საბჭოებისა, მაშინ არჩილი სადისკუსიო კრებებზე შეუდარებელი დისპუტანტი იყო მენშევიკების წინააღმდეგ.

1909—1911 წლებში არჩილი პარტიაშიც მუშაობს და ტბილისის ექიმობას სწავლობს. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციამ არჩილს მოუსწრო ამიერკავკასიაში ფეხს იდგამს მუშათა-მოძრაობა და არჩილიც ხელალებით და უკან დაუხედავათ გადაეშვა ამ ახლად აღმოცენებულ მუშათა ტალღებში.

1903 წელს რ. ს. დ. მ. პარტიის მეორე ყრილობაზე პარტია ორად გაიყო. ს. ი. მენშევიკ-ბალშევიკ[illegible] არჩილი იმითავითვე მიემხრო უყოყმანოდ ბოლშევიკებს.

ეს ის დრო იყო, როცა ავანტიურისტ ლ. ბ. ბორბოვმა და დეზერტირებულ ოფიცერმა ... ინსტიტუციის მინისტრმა ... გამოაცხადეს, რომ მ. თ. ხელში ჩაგდეს ოტაფური საბუთები იმის, რომ ამხ. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი და მრავალი მათი ამხანაგები და მიმდევრები ორიან ბერმანიის კაიზერ ოქროთი მოსყიდული აგენტები რუსეთის რევოლიუციის ძირის გამოსათხრელად.

ეს ცნობა აქაურმა მენშევიკ-ესერ—დაშნაკ—ფედერალისტებმა ხალხს ოქროთ მოლილ, და, გზ. „ერთობა“—„ბორბაშ“ მოათავსეს მოწინავე წერილებ, სადაც ლიხიშნავდენ ამ ცნობას, როგორც უტყუარ ფაქტს.

ეი ამბავ ერალი იყო, რომ ფრონტის ატმოსფერა მოიშალა და ჩვენს არჩილს ეძებდენ ... ,როგორც ... ბალშევიკ აგენტს და რევოლიუციის მოღალატეს.

ბევრ ... არჩილი დაბინავდა ლანჩხუთში თავისი კაბინეთი. მარა არც აქ მოა ... მენშევიკ[illegible] ... ქუთაისის ცხელში, ... ერთი თვეთ.

[illegible] შემდეგ ... ავად და 1918 წელს 12 ნოემბერს გამოესალმა წუთისოფელს.

[illegible] არჩილ[illegible] ... [illegible] ... [illegible] ... [

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეიტანოს მათ რიგებში ჯახრეული. სინამდვილეში ბურჟუაზია ორივე ამ საშუალებას იხმარს, როგორც ამას მარილაც და ადგილი ქონდა იტალიაში. რომ პროლეტარიატი სრული შეგნებით, გაბედულათ, ენერგიულათ და შუა გზაზე გაუჩერებლად შეუდგეს ღრმა ცვლილებების მოხდენას საზოგადოებრივ ურთიერთობის საქმეში — ის წინასწარ უნდა გაიწმიდოს ოპორტუნისტულ, მერყევ და ბოღალტერ ელემენტებისაგან, რომლებიც მზათ არიან ყველაზე უფრო მძიმე მომენტში შეუთანხმდენ მოწინააღმდეგე კლასს და თავის კლასს კი ულალატონ. იტალიის შუშათა მოძრაობა იმიტომ დამარცხდა, რომ ამ მოძრაობამ ვერ შესძლო გაფართოვება და შეჩერდა პირველ დაწყებით საფეხურზე, დაკმაყოფილდა მარტო კერძო საწარმოვო დაწესებულებების სტიქიურათ დაკავებით. ეს იმიტომ მოხდა, რომ მუშების ბელადების შეთანხმების მომხრე ნაწილი ვერ შეგნებულათ ცდილობდა მუშათა მოძრაობა შეეჩერებინა დაბალ საფეხურზე. მან შესძლო მუშათა კლასის ნაწილზე გაავლენის მოხდენა და ამით ჩაშალა ეს ნაწილი საერთო რევოლუციონურ ნაკადს. შეთანხმების მომხრე ბელადებმა შეხძლეს მუშათა რიგებში რაგვარის და რამოდენის შეტანა. ამასთან ერთად მან დაბმარება აღმოუჩინეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ბურჟუაზიას. ამ ბელადების დაბმარებით ბურჟუაზიის ყველაზე უფრო მოხერხებული და პირმოთნე ნაწილმა შესძლო მუშების დაბრაკება მოსვენებითი დათმობებით და დაპირებებით და ამით მთელი მოძრაობა არარათ აქცია.

ასეთია ის გაკვეთილები, რომლის გამოტანა ჩვენ შეგვიძლია იტალიის ამბებიდან. და ბურჟუაზიულ ლიბერალისტების საეალადოთ ასეთი გაკვეთილების მილება შეუძლია პროლეტარიატს იტალიის მუშების დამარცხებით. უწინარეს ყოვლისა კი იტალიის პროლეტარიატმა გააკეთა ასეთი დასკვნები მომხდარ ამბებიდან. შემთანხმებელ ელემენტებისაგან თავისი რიგები გაწმენდის საქმე ეხლა პირველ კითხვად ხდება. იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სრული თანხმობა იმ პირობების, რომელიც წამოაყენა მე-3 ინტერნაციონალის მე-2 კონგრესმა პარტიის ოპორტუნისტულ ელემენტებისაგან გაწმენდის შესახებ. ახლო მომავალში იტალიის სოციალისტურ პარტიის ერილობა იტყვის თავის გადამწყვეტ სიტყვას ამ კითხვაზე. და შეიძლება სრული იმედი გვქონდეს ხმისი. რომ მომავალ, მახლობელ თავის გაფრთხილებაში იტალიის პროლეტარიატი განთავისუფლდება იმ „მეგობრებისაგან“, რომლებიც ბურჟუაზიას ერთგულ უფრო საშიშია.

ყოველგან ხდება მუშათა მასსების გამემარცხენენება და კომუნისტურ პოზიციაზე გადასვლა.

იტალიის ამბების გაკვეთილი გააბწყვეტს და დაჩქარებს ამ პროცესს. გერმანიაში, მიუხედავათ შეჩერჯვენე ფრთის ძალდატანებისა, დამოუკიდებელ სოციალისტების ულრაკლესობა სურვილს გამოთქვამს მე-3 ინტერნაციონალში შესვლაზე. მუშათა მასსების სულიერ განწყობილებას გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლებმა გამორიცხეს პარტიიდან განოფერის „ლეპუტატი ებერლეიდი“ რომელიც კომუნისტურ ინტერნაციონალის წინააღმდეგ წავიდა.

ასეთივე ბელი შეელით ყველა იმ შეთანხმებელ ბელადებს, თუ ისინი თავის დროზე ვერ ისწავლიან ჭკუას და ვერ დაადგებიან სწორ, რევოლიუციონურ გზას. დაბოლოს კი საფრანგეთის მუშები ახარებენ რეფაბიულ ენერალისტებს იტალიის ბებიდან მიღებულ გაკვეთილის გამოფრანგეთის პროლეტარიატშიც, ადელიც ასე დიდხანს იყო მიძინებულ-ურეფორმიზმულ დემოკრატიზმით, თანდან ფაროოვდება რევოლიუციონურ-კომუნისტური ტენდენციები. ყოველივე ეუფველი გვაქვს იმისა, რომ ვსთქვათ, რომ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში უმრავლესობა კომუნისტების ხარეზეა. ამავე დროს ბალკანეთი ნი შეიტანა ბრეთვე პროფესიონალურ მოძრაობაშიც, რაზედაც ბურჟუაზია ეყარებდა მიელ თავის ფანასკნელ იმედს. ეხლა ან მომხდარი რევოლიუციონური პროფესიონალური კავშირების ერილობა და საერთაშორისო შრომის კონფედერაციაში კომუნისტების მიერ მილებული ნაბეჯი (ერთი მესამედი ხმებს) ისა მიჩვენებულია, რომ ბურჟუაზიას ეფანასკნელი დასაყრდნობი ყავარჯენიც ულუსტეტები ხელიდან.

პროლეტარიატი თავის შეცდომების დროსაც კეთილობს, როგორც ამბავი ალასი, რომელსაც ეკუთვნის მოშავალი, ის ფიქრს დროეწით დამარცხების დროს ან არ სუსტდება, არამედ ძლიერდება. ეროველად ყოველისა ეს დამარცხება ეხმარების პროლეტარიატში კლასობრივ ფერთ შეგნების, ამზადებს მის გონებაში რევოლიუციას, უტრამლოსთ შეუძლებელია რევოლიუციას ხანგრძლივობა ერთიერთობაში. ამიტომ ეჭვი არ არის იმაში, რომ იტალიის ამბებიდან ბოელი პროლეტარიატი ისეთ გაკვეთილებს მიიღებს, რომელიც მოაბლოებს პროლეტარიატის გამარჯვებას და დაჩქარებს კაპიტალისტურ რეჟიმის გაკოტრების საქმეს.

გაზ. „იზვესტია“ № 224.

ბიულეტენი პრესბიუროსი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლონდონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკაზიდან და ბაკოდან).

საგარეო-საერთო

ხალეფვერაფო კავშირი ანატოლიასთან.

სტამბოლი, 10 ნოემბერი. მიღებულია ზომები ანატოლიასთან სატელეგრაფო კავშირის აღსადგენათ, მაგრამ ანგორიდან არ არის ამის შესახებ პასუხი მიღებული. იმედი არის, რომ ბანგულდაკის რკინის გზის ხაზი იქნება შეკეთებული და სატელეგრაფო კავშირიც აღდგენილი.

ინგლის-საფრანგეთის შორის ჩამოვარდნილი „გაუგებრობა“.

რიგა, 12 ნოემბ. ლონდონ-ჯორჯის გაზეთი „ობსერვერი“ კომენტარიებს უკეთებს ბერსალის ზეგის მე-18 პარაგრაფის გამო „ანტანტის ბორის მომხდარ უთანხმოებას. და შემდეგს სწერს: „გადასაწყვეტია ძირული კითხვა მეტათ რთულია, რომ მისი გადაწყვეტა ასე იოლად შეიძლებოდეს. ჩვენ არ შეგვიძლია საფრანგეთის შანაჩალა გავხდეთ. უთანხმოება პარიზში დიდია და როგორც ეტყობა, ჩვენი მოკავშირენი ივიწყებენ, თუ როგორ მეგობარია ლონდონ-ჯორჯი საფრანგეთის. ბრიტანეთის მთავრობა შეეცადა შეეხსუბუქებია გერმანიისათვის მოკავშირეთა ვალების გადახდა. ჩვენი შეზობლები ამა გვისაყვედურებენ ჩვენ და გვეუბნებიან, ვითომ ჩვენ სეპარატიზმი ვმოქმედებდეთ. ვგრამ, პირველად თვით საფრანგეთი არ შესდგა ამ გზაზე? მოვიგონოთ ფრანკფურტი, ვრანგელის მთავრობის ალიარება, საფრანგეთის პოლიტიკა პოლონეთის მიმართ, რომელმაც რუსეთის ნაციონალური გრძნობების აღტყინება გამოიწვია, ამას ვინდა სან რემოში შეთანხმების უარყოფა. საფრანგეთის პრესა მთელი თავისი ძალებით ილაშქრებს ხალხთა ლიგის წინააღმდეგ. როდესაც ბალტიკი წინადადებას იძლევა გერმანიის ხალხთა ლიგაში წევრათ შეღების შესახებ, ამ წინადადებას სასიკვდილო წინადადებას უწოდებენ. ასეთი პოლიტიკა მიიყვანს ქვეყანას გალატაკებამდის და მუდმივ ომებამდის.

ასეთ პოლიტიკას ხაზს მაინც ვერ დაუჭერს ინგლისი, შეერთებული შტატები, იტალია და არც ბრალი ცენტრალური სახელმწიფო. საფრანგეთს ისევ აქვს ბევრი ძალისი პატრიოტები რუსის ოკუპაციისათვის. ასეთ პოლიტიკა ფაარლვევს არა მარტო ანტანტას, არ ამედ ევროპა. ინგლისს აფიქრებს ეს.

ეფიციალურად, რომ ფაქტები იქნებ ყოველ მხრივ გაბუქებული; ვინაიდან ის ყველასთვის გასაგები გახდეს. როდესაც ეს ასე მოხდება, მთავრობაც აცნობებს ხალხს თავის ნაბიჯებს. თუ ჩვენ შეგძლებთ ჩვენი მინის მილწევას, ანატოლიასთან კავშირის დაკვრას, მაშინ ჩვენ მივუტანთ სარგებლობას ჩვენ საშობლოს.

სანაშლის ძალაუფლებას მიიღებენ მთავრობა, მან ყველ მხრივ აწონ-დაწონა ეს საკითხები.“

იზეთ-ფაშის განცხადება.

სტამბოლი, 10 ნოემ. „ბეიან საბახის“ ცნობით იზეტ-ფაშამ შემდეგი განცხადა ანატოლიაში დელეგაციის გაგზავნის შესახებ:

„დელეგაციის წევრები ჯერ კიდევ არ �ან ამორჩეული. მთავრობამ რრი კვირის წინ გაგზავნა მოხელე ანგორაში განსაკუთრებულ მინდობილებით. მის ვალდებულებას შეადგენს ალადგინოს დამოკიდებულება ანატოლიასთან.

ბაკინის გზის ხაზი ანგორა—სივას შუა.

სტამბოლი, 8 ნოემ. „აკშამი,“ იტყობინება: „ბაკინის გზის ხაზი ანკორასა და სივას შუა უკვე გაკეთებულია, მხოლოდ გვირაბების მოსათავსებლათ საკმარისი საშვალებები არ არის.

ძირს კაპიტალობა

რიგა, 12 ნოემ. „უმანიტე ტელეგრაფი“ ლონდონიდან იუწყება, რომ ირლანდიელ უელსის შემოლარეობის ფედერაციის პრეზიდენტმა ბრასსმა უარი განაცხადა თავისი მინისტრობილობაზე. მას ეყველედ ეროობდენ იმაც, რომ იგი გაფიცულების დროს ბომბიერობა იჩენდა და შეთანხმებას ხელს უწყობდა. ბემალარეების რადიკალური ლიდერი, რომელიც სამხრეთ უელსის მუშების უმრავლესობის წარმომადგენელი იყო, ბრასს გამცეველს უწოდებს. ინგლისის მთავრობამ ბრასსი სამთამადნო მრეწველობის სამინისტროში შეიყვანა.

ერთა ლიგა და პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი.

რიგა, 12 ნოემბ. „ობსერვერის“ დიპლომატიური კორესპონდენტი, უკეთებს რა კომენტარიებს ერთა ლიგის დადგენილებას პოლონეთ-ლიტვის საკითხში, სწერს:

„ეუბნება ერთა ლიგის საბჭოს მივანიჭოთ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი' აიძულებენ ბურჟუაზიას, შეწყვიტოს ყოველგვარი ომები, განსაკუთრებით კი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ასეთი-პოლიტიკის შედეგი იყო პოლონეთის ბლოკადა.

ახლა გერმანიაში ითვლება 52,000 უმუშევარი მეზღვაური. მათი ეკონომიური მდგომარეობა მეტად მძიმეა. 7,200 უკვე გაემგზავრა ინგლისში და იქაც აგერ სამი წელია, „ვერაფერ სამუშაოს ვერ შოულობს...

„ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ— გაათავა თავისი საუბარი ამხ. ოტტო რიგერმა,—რომ ჩვენი მეზღვაურების დამოკიდებულება რუსეთის რევოლიუციასთან უმწიკვლოა. მიუხედავათ თავიანთ საშინელ მდგომარეობისა, ისინი არაფრით არ დახმარებიან ინგლისს საბჭოთა რუსეთის მოსახრჩობლად და მსოფლიო რევოლიუციის ბრწყინვალე დღეს ჩვენც ამოუდგებით რუსეთის მეზღვაურებს ბვერდში დიდ მიზნის მისაღწევათ“.

დაღუპულ კომუნისტების სახსოვარი წიგნი.

პეტერბურგი, 16 ნოემ. პეტერბურგის ოლქის პოლიტიკურ განმანათლებელი საბჭო აგროვებს მასალებს დაღუპულ კომუნისტების ისტორიიდან, რათა გამოსცეს წიგნი მათ სახსოვრად. ამათ რიცხვში შედიან ის კომუნისტები, რომლებიც დაიღუპენ საბჭოთა რუსეთის ფრონტებზე კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში და რომელნიც ეკუთნოდენ პეტერბურგის, ნოვგოროდის, პსკოვის, ჩერეპოვიცის და ოლონეცის გუბერნიების ო. კ. პ. ორგანიზაციებს.

სევასტოპოლის მეზღვაურების და მუშების საბჭოს მოლოცვა.

ნიკოლაევი, 21 ნოემბერს სევასტოპოლში შედგა ვეებერთელა მიტინგი სევასტოპოლის მეზღვაურების და მუშების. მონაწილეობას ღებულობდა 15.000 კაცი. მიტინგი მიმდინარეობდა გასაკვირველ აღტაცებით. „ურას“ ყვიროილი ფარაოდა ორატორების სიტყვებს. გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ მუშებმა დაუზოგველად უნდა ვიმუშავოთ საბჭოთა ძალა-უფლების გასამტკიცებლად ყირიმში, მთელი ძალ-ღონე უნდა შევწიროთ რესპუბლიკის აღორძინებას და მტკიცეთ დავიცვათ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი.

ჩვენ სალამს ვუძღვნით ყირიმის და ბალტიის მეზღვაურებს, მოსკოვის და ჰიტლერის მუშებს.

ჩვენ, სევასტოპოლის მუშები და მეზღვაურები, რომლებიც ასე დიდ ხანს ვიყავით მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის მუბრუჭის ქვეშ და გაგვანთავისუფლა წითელმა არმიამ და ფლოტმა, ვუძღვნით სალამს წითელ მეზღვაურებს და მუშებს და დიდ აღორთოვანებას გამოვთქვამთ კონტრ-რევოლიუციის უკანასკნელ ვრანგელის განადგურების გამო.

ჩვენ სალამს ვუძღვნით ბრწყინვალე შომავლის გამარჯვებას მსოფლიო კაპიტალიზმზე და ფიცს ვდებთ შევწიროთ ჩვენი ძალ-ღონე ჩვენი ქვეყნის აღორძინებას.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

სარატოვის გუბერნიაში.

მოსკოვი, 15 ნოემბ. 2 ნოემბრამდის სარატოვის გუბერნიაში 3 მილიონი და 75 ათასი ფუთი პურის ფურაჟი დაგროვილ და ქართოფილის 8108 ათასი ფუთი. (4-ერ მეტი წარსულ წლებზე.

„დერ ეზეს“ (პრავდა)

მოსკოვი, 15 ნოემ. 7 ნოემბერს ოქტომბრის რევოლიუციის 3 წლის თავზე მოსკოვში გამოვიდა ყოველ დღიური გაზეთის „დერ ეზესის“ პირველი ნომერი. იგი რ. კ. პ. ც. კ. ცენტრალური რედაქციის ბიურის ორგანოა.

ელექტრონის შუშების დამზადება.

პეტერბურგი, 15 ნოემბ. ელექტრონის შუშების საკეთებელ ქარხანა „სვეტლანა“-ში დღეში რვაას შუშას აკეთებენ. წინათ კი დღეში ეს ქარხანა ორასს აკეთებდა.

ფრონტის დახმარება.

ადესა, 23 ნოემბ. დუბასარიდან წითელი დროშით მოვიდა ერთი გემი, წითელ არმიელთათვის საჩუქრებით, რაც ოგროვილი იყო „ფრონტის დამხმარე კვირაში“.

რევოლიუციის ფრონტებზე

საბერძნეთის კომუნისტები რუსეთის შესახებ.

ბათუმი, 22 ნოემ. ელლინთა კომუნისტების ორგანო „ერგატიკოს აგონი“ სწერს:

„რუსეთის წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვების გამო, მთელი ქვეყნის ბურჟუაზიული მთავრობები ფრიად შეძრწუნებული არიან და ყოველგვარ ღონეს ხმარობენ იაპონის საკუთარი ტყავი გადაინარჩუნონ.

მაგრამ მათდა საუბედუროდ, შუშები ყოველგან ხელს უშლიან ბურჟუაზიის გეგმას. ძლიერი მოძრაობა საბჭოთა რუსეთის სასარგებლოთ დღითი დღე იზრდება, ღონდება და სასტიკად ებრძვრება კაპიტალისტურ წესწყობილების ორსებობას. ინგლისში და საფრანგეთში არა მხოლოდ მუშები, არამედ სხვა ფაბრიკა წრეშიც ურიგდებიან რუსეთის შინაურ პოლიტიკურ მდგომარეობას და ცდილობენ თავთავიანთი მთავრობები აძულებენ ყონ, რომ მათ რუსეთთან ურთიერთობა აღადგინონ.

რუსეთის კომუნისტების რეალურმა ძალამ მთელი ქვეყანა აიძულა ეცნოთ და პატივი ეცათ რუსეთისათვის“.

კორეის რევოლიუციონერების დევნა.

ვლადივოსტოკი, 3 ნოემბერი. ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, კორეიაში, კორეის რევოლიუციონერებმა ტერორისტული აქტების მთელი რიგი მოაწყვეს. იაპონიის პოლიციამ სასტიკი ზომები მიიღო, რათა აღმოეჩინა კავშირი იაპონიაში მცხოვრებ კორეიელებსა და ტერორისტებს შორის. კიუ-სიუში აღმოაჩინეს კორეიელების ორგანიზაციების მთელი რიგი, აღმოაჩინეს მრავალი დინამიტი, ყუმბარა, იარაღი და სხვა.

უნგრეთის კომუნისტების მოწოდება.

რიგა, 10 ნოემბერი. „იუმანიტეში“ უნგრეთის კომუნისტების შემდეგი მოწოდებაა მოთავსებული დასავლეთ ევროპის პროლეტარიატისადმი: „თქვენ საშინელი ხრალი გედებათ. აღმოსავლეთში თქვენი ძმები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ. თქვენ კი გულგრილად უყურებთ ამ სურათს და არ ისწრაფით ჩვენს მოსაშველებლათ. ნუ თუ თქვენ ვერ ხედავთ იმას, რაც ხდება? ნუ თუ ვერ ხედავთ თქვენ უნგრეთში ათასობით აღმართულ სახრჩობელოებს?! ნუ თუ არ გესმისთ თქვენ წამებულთა კვნესა?!

დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია ფიქრობს გაფერთხოს თავისი მეუფობის საბრძანებელი, გაავრცელოს თავისი რეჟიმი მთელ შუა ევროპაში, მონებათ აქციოს დამორჩილებულ-დამარცხებული ხალხები. ამ ფანათ იგი ბძვინვარებს უნგრეთში. შეიგნეთ, რომ ასეთი მკაცრი ბედი თქვენც მოგელოდეთ. თქვენ ამას მაშინ იგრძნობთ, როდესაც თქვენი სიხარული ნეინებრ ნაკადულებად დაიღვრება. ნუ „კვებავთ, ნუ იტყვილებთ თავს ილუზიებით. საკითხი დგას კაპიტალიზმის მეუფების აღდგენაზე. მის აღსადგენათ კი მათ სჭირდებათ პროლეტარიატის აურაცხელ მსხვერპლთ გვამებზე გადაბიჯება.

სამხედრო ოპერატ. რადიოცნობა რესპუბლიკის საველე შტაბ. „რევოლუციონოსოვეტისა“.

23 ნოემბ. 1920 წ.

დასავლეთ. ფრონტი.

მოსკოვი, 24 ნოემბერი. სლუცკის რაიონში ჩვენი ჯარები მიიწევენ დემარკაციულ ხაზისაკენ.

ბოზირის რაიონში ბალახოვიჩის ჯარების დარჩენილმა ნაწილებმა, რომლებმაც მოიყარეს თავიანთ ბოზირის ჩრდილოეთით, დაეცენ თავს წითელი ჯარები კალინოვიჩის ჩრდილოეთ დასავლეთით 20 ვერსზე და შეებენ. ბრძოლა სწარმოებს, შედეგები ჯერ გამოურკვეველია. ამ ბრძოლის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ რამოდენიმე ასი ტყვე.

ხამხრეთ-დასავლეთის ფრონტი.

სტარო-კონსტანტინის რაიონში ჩვენი ჯარები მიყვებიან კვალდაკვალ ბალონეთის ჯარებს, რომლებიც უკან იხევენ.

ვოლოჩინსკის მიმართულებით ჩვენი ნაწილების სასტიკ შეტევით დამარცხდა პეტლიურას არიერგარდი. მკაცრ შეტევით ჩვენ ავიღეთ ქ. ვოლოჩინსკი. ხელთ ვიგდეთ 14 ზარბაზანი, ათასი ტყვე, 150 ტყვეისმფრქვეველი. 3 ჯავშნიანი მატარებელი, 3 ეშელონი საქონლებით და ორთქმავლებით და სხვა დაელია. ვოლოჩინსკის სამხრეთით ჩვენ ჩამოვაგდეთ ბოწენაიაღ-ბეგის ჰაეროპლანი. პეტლიურას ჯარების უკანასკნელი ნაწილები გაიქცენ სახელმწიფოებრივ საზღვრების იქეთ, სადაც ისინი განაიარაღეს პოლონეთის ჯარებმა.

რესპუბლიკის საველე შტაბის რევოლუციონოსოვეტის ვოენკომი დანიშვნა.

მაღლობა ანტანტას წითელ არმიის პატივისცემისათვის.

მოსკოვი, 23 ნოემ. საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთები მწუხარებით აღნიშნავენ, რომ ყირიმის დაკავებით საბჭოთა არმიებმა ალბანეთიდან, ანტანტის ჯარებმა ბაქოდან, ბათომიდან, ოდესიდან, ბალტიისპირეთიდან, ბალტიისა და ბელადიოს ზღვიდან, ბალტიისა და ბელადიოს ზღვიდან, ბალტიისა და ბელადიოს ზღვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ფიანცზე 3500 ფუთს ყანადის თეთრ, ფქვილს-ფუთს 1950 მანეთად. ეს მაშინ, როცა ამ ფქვილით, თუ ზიგ ნახევარ ქერ, აურევდით ორი კვირის განმავლობაში საღი პურის მიწოდება შეიძლებოდა! რკინის გზის მუშებზე. ორიც კვირის შემდეგ ახლა ფქვილში მომგზავრების სამინისტრო 2500 მანეთს აძლევდა!

შეიძლება კომიტეტმა ამ ფულის საჭიროება ითიმიზეზოს, მაგრამ ყველამ იცის, რომ დღევანდელ გაჭირვების დროს ფქვილზე და ისიც თეთრ ფქვილზე უსაჭიროესი არა არის რა.

„ავი ენები" იმასაც ლაპარაკობდენ, რომ ეს ფქვილი ქ. ლალდზე გაიყიდა 1950 მან. თვალა ნამდვილად 2100 მან. აიღეს ფუთში და განსხვავება ნახევარ ბილიონზე მეტი კომიტეტის „აკულებმა" შთანოქესო. მარა ჩვენ ამ ხმებს არ ვიზიარებთ. მხოლოთ ის კი ცხადია, რომ სწორეთ მეორე დღეს ერთი ქართველი ვაჭარი, რომელსაც შეეტყო ფქვილებს ყიდვანა, გაკილებით მეტს იძლეოდა და მეტად უკმაყოფილო დარჩა — „რა მაინც და მაინც მოხდები საქმე სომხებს უნდა ჩაუგდონ ხელში და ქართველებს არ ახეირებენო"...

ვთქვათ ფულის ძლიერ საჭარო იყო კომიტეტისათვის (ყოველთვის რამ ითი ასაბუთებენ, დაუდევრობას თუ ბოროტმოქმედებას), მაშინ დალოკვილები ამ უფულობის დროს რაღათ ყიდულობენ მილიონთ ღირებულ თევზეულის კონსერვებს, რომლის ფასები ბაზრისაზე დაბლა არ იდგა? ნუ თუ თავისი გემოთი და შეძლებით სინჯავენ მუშებს და გინდათ „ბალიკის" და „სარდინკის" მეტი მუშებს არა აკლიათ რა, როცა ქალოთ ბავშვები ეზოცებათ? და ეს კონსერვებიც ბოლო დროამდისან სარდაფში ეყარათ და ნახევარი თიოქმის დაიფუყა და გაფუჭდა.

რომ კომიტეტი საზოგადოთ ვერ ართმევს ალლოს მუშაობა საჭიროების და მისს ქონებას ვერ უძღვის, ეს იქიდანაც სჩანს, რომ შინ თითქმის მუქთათ გაბყიდა ერთთ ერთი თავისი განძი — ერთი ვაგონი ძველი ბროდსკის (ბაქარი და ისიც სპეკულიანტზე იმავე ივლისის თვეში — ეი ფაქტები: ვაგონ ძეგველოვს 400 ფუთი, 4000 მანეთად ფუთი; ვიღაც ლონიძეს 102 ფუთი იმავე ფასუბში: ვიღაც ბაცხოვრ 100 ფუთი — 4200 მან ფუთი-400 ფუთი ბაქრის გაყიდვაში მისცეს 20,000 მანეთი; მხოლოთ რა გაბლეს დანარჩენი ბაქრის გაყიდვაში, ოსელიც მოხდა რკინის გზის პირველ მაღაზიაში — ეს გამორკვეული არაა, ვინაიდან მაღაზიის გაგეს და მის თანაშეწეს (რწმუნებული თხილავას ძმის) ნაფეკვამი ქონდათ აღნიშნული ფასებზე ოსაც, მეტს აიღებთ თქვენი ეფოლი. მოკალხლეურეთა სიტყვით ზედმეტი ფულები „ბაჩკობით" ბოგრიდა და ეს ყველა მუშტრებს შოვნისათვის, მუშტრების შოვნა ოც ბუ ძნელი ეყო, ვინაიდან ახეთი ბაქარი ბოთ კვირაში ბაზარზე ერთი-ორათ ეყიდებოდა და ეხლა ხომ ეძვსჯერ მეტათ ფასობს გაცილებით ნაკლები ხარისხი.

კომიტეტმა თუ ფქვილი გაჰყიდა, კონსერვები იყიდა, შეიძლება ბაქრის ფულათ ფქვილი იყიდა? ასე რომ იყოს, ოდესგ ბაქრის ფულით კომიტეტმა გაისტუმრა ბ-ნ ბოკერიას მიერ ნაყიდი კოსტიუმების ფული, იმ კოსტიუმების, რომლებიც ბოლო დროამდე მაღაზიაში ეყარა და ერთ მუშასაც არ უყიდნია სიძვირის გამო. ეს ფასათ 4 მილიონის სალირაა ლი ტრიბერეულიდან ივლისის დამლევამდე გაჩერებული ყოფილა და ძლივს თავის „ფასებში" გაიყიდა სპეკულიანტებზე. და მოსაშველელ საკოძსიო 270 ათასი მან. ნისცეს. ეი ეს „მოძგებიან ოპერაციას" ეწოდება ? ნი ბოკერია მთელი თვე, დ ოლიფრის სახით მიიღო 20 ათასი მანეთი. იმ ხანებში ათასიან ბონებს კი ვერ ფასი ქონდა, თვალა ბ-ნი ბოკერია არ იკადრებდა შეამდგომლობის აღძვრას თავის ამხანაგების წინაშე, მიეცათ მისთვის საექიმო დახმარება, მით უმეტეს, რომ ასეთი წესი არ იყო პრაქტიკაში, (რკინის გზის საკოთმყოფოთი შეუძლიათ იხარგებლონ). ეს მეტი არ იქნება აღგნიშნოთ (რკ. გზ. სასურ. კომიტეტის ეცხაური „დემოკრატიზმი". რწმუნებული ბ-ნი ბოკერია ხდება ტიფით ავათ სტუთა და თბილ კაბინეტში. კომიტეტი მას აძლევს საექიმო ხარჯების დასაფარავათ 15 ათას მანეთს და, ამავე დროს კი უარს ეუბნება საავაჭრო ვაგონ-დუქნის მოანგარიშეს, ვ. ტრიასკოს ერთი თვის ჯამაგირის (2 ათასი მანეთი) დახმარებაზე. მით უმეტეს, როცა ვაგონ-დუქნის და ხაშურის მაღაზიის გამგეობის დამოწმებით ტრიასკო სამსახურის ასრულებისას ყინვებში, გაუთბობელ ფარღალალა ვაგონში მუშაობის დროს გაცივდა და ფილტვების ანთება და ტიფი ერთათ შეემთხვა და რამდენიმე თვე სულთმობრძავი იყო... რაც რამ სახლში ეაჩენდა, ყველაფერი გაყიდა და ძლივს ცოცხალი გადარჩა... აბას ქვია დემოკრატიის სამსახური ბ. ბ. კომიტეტის წევრებო, როცა ორი საზრდი გაქვთ ერთი რწმუნებულისათვის და მეორე დაბალი მოსამსახურისათვის?

დაუბრუნდეთ მთავარ საგანს. შეიძლება კომიტეტმა ამავ ფულების საჭიროებით გაამართლოს ბატონ ვ. თხილავას მიერ ჩადენილი „სახელმწიფოებრივ ღალატობა ისრით" ყოველთ დბუშვებელი ბოროტება, რომელიც შემდეგში გამოსახატა; მომარაგების სამინისტრო მრავალ გზის თხოვნის შემდეგ რკ. გზ. სასურსათო კომიტეტს აძლევს ნებართვას ბათუმში ბზის (саман) გატანისას. ამ დროს (ეს მარტში მოხდა) ბათუმში ბზე მეტად მაღალ ფასებში იყიდებოდა. ამ ნებართვას ბ-ნი თხილავა ყიდის ვიღაც ჩარჩ ბენიამინ ბელიძეზედა ისიც იმ პირობით რომ 3000 ფ. ბზე სახაზინო უფასო „ნარიადებით" მიუტანოს ბათუმში.

კომიტეტთან ამ ბოლო დრომდე არსებობდა მაღაზია 27 რაიონთ წოდებული. ამ მაღაზიაში ბ-ნ რწმუნებულთა ბარათებით იწერდენ უპირველესათ საუკეთესო მატერიებს და სურსათს, შემდეგ ამის ნაწილს ურიგებდენ რკინის გზის პროფსაკავშირ. ცენტრალურ კომიტეტია წევრებს და ნაწილი კი კერძო წყაროების ცნობით ზიდიოდა ბ-ნ რწმუნებულის ბინაზე. მარა ისიც მოხდა რომ მაღაზიას ისე მიაწერეს საქონელი, როცა შიგ არც შეუტანიათ, აი მაგალითად: მგონია აპრილში სასურსათო კომიტეტი ლებულობს მომარაგების სამინისტროდან დიდძალ ინგლისურ საუცხოო მანუფაქტურას, შედგენილი ეტაპ ია ფასებში, რომელსაც პირველათ აწყო ენ რწმუნებული თხილავ ს კაბინეტში და შემდეგ იქიდან სადაც მიაქვთ. იქვე ითის, რომ იქ გადაარჩიეს, დაინაწილეს და რაც არ მოეწონათ საწყობში გაგზავნეს. აქვე არ შემიძლია არ მოვიყვანო საილუსტრაციოთ ერთი დოკუმენტის ასლი „25 მაისი ფაქტურა № 10053-ა ლ-ჩ-3-27 გაგზავნილ ვ. ვ. თხილავას საშვალებით (ფაქტურა გადაეცა ვ. ვ. თხილავას ლ-ჩ-3-27 საიუის)

ხავერდი 105 და ნახევარ არშინი ა, 60 — 6345

შვეიოტი ლურჯი 20 არშინი ა' 570 — 11400

შვეიოტი რუხი 37 და სამი მეოთხედი არშინი ა' 570—21517—50

შვეიტი ლურჯი 21 და სამი მეოთხედი არშინი ა' 590—12611—25

შვეიოტი ლურჯი 3 და ხუთმეტის მეთექვსმეტედი არშინი ა' 670—2638—13

რიპსი 37 არშინი ა' 55—2035

პოპლინი 188 და ერთი მეოთხედი არშინი ა' 60—11287—50

სულ — 67834—38

შესაძლებელია ბ-ნ თხილავას არ წაუღია მთელი ეს მანუფაქტურა და შიგ წილი უდევს რკ. გზ. ცენტრალური კომიტეტის წევრებსაც? ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან მათ პირად ანგარიშებში შეხვდებით მაგალითად ხავერდს გატანილს 60 მან. არშინი.

ხშირია ისეთი შემთხვევები რომ — სასურსათო კომიტეტის და ცენტრალური კომიტეტის წევრები ჯერ თვით დაინაწილებენ, რომელიმე საქონელს უნორმოთ, დაკლებულ ფასებში და შემდეგ ნორმით წეტ ფასებში გზავნიან. თფილისის რკ. გზ. მაღაზიებში და ხაზზე მუშებზე გასაყიდათ თვით მიაქვთ ნისიათ, მუშებზე-კი უსათუოთ ნაღდათ უნდა გაიყიდოს. ამის მაგალითები ბრაგალზე უმრავლესია, ეხოლოთ ჩვენ ეს, დასახასიათებლათ, ერთზე მიუთითებთ. სექტემბერში მიღებული კარაქი და ყველი მუშებზე გაიყიდა ნაღდად: კარაქი 1/2 გირვანქა, ყველი 1 გირვანქა. პირველი 300 მან, და მეორე 120 მ. გირვანქა. თვით კი დაირიგეს ნისიათ კარაქი 150 მ. და ყველი 50 მ. გირვანქა. აქვე ვთავსებთ სიას შემოკლებით:

რწმუნებულ ბოკერიას კარაქი 15 გირ. ყველი 20 გირ.

რწმუნებულ თხილავას კარაქი 23 გირ. ყველი 10 გირ.

რწმუნებულ ვაშაკიძეს კარაქი 25 გირ. ყველი 10 გირ.

რწმუნებულ კალაძეს კარაქი 15 გირ. ყველი 10 გირ.

ცენტრ. კომიტ. წევრებს: ვ. სიხარულიძეს კარაქი 20 გირ. ყველი 10 გირ. ი. გიორგაძეს კარაქი 15 გირ. ყველი 10 გირ.

ცენტრ. კომ. თავმჯდ. ნ. ბერეჟიანს კარაქი 20 გირ. ყველი 20 გირ.

ასევე. მოხდა საბნებზე, რომლებიც თვით დაირიგეს 1500 მან. თითო და ხაზზე კი გაგზავნეს 4500 მ., ზეწრები — დაირიგეს 500 მ., მატერიალურ საწყობს კი მიაყოდეს (საავათმყოფოსთვის 3000 მ. თითო. უკანასკნელათ მიღებული მანუფაქტურა თავისთვის აიღეს 2305 მ. არშინი, გასაყიდი ფასი კი დაადეს 4610 მ. და სხვა და სხვა...

გაოცებული რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი ცხადია თავის თავს კითხვას დაუსვამენ — იქ ხომ სარევიზიო კომისია და ცენტრალური კომიტეტი დარაჯობს ჩვენს ინტერესებს, და რათ სდუმან ისინი? ორიოდე სიტყვა სარევიზიო კომისიაზე. წინეთ არჩევნების პირველ დღეებში ეს კომისია მძუნეიდაგათ სუსტი შემადგენლობისა რაღაცას ვითომ აკეთებდა, ეხლა-კი თუმცა ყველა ამ ჩამოთვლილი და მრავალი ამგვარი ფაქტები ხდება კომისიის სადგომ ოთახიდან ერთი საქონის სიშორეზე, მაგრამ ისინი სდუმან. მიზეზი? შეიძლება ის იყოს, რომ ხშირათ კომისიის მოთავე სასურსათო კომიტეტის „მოღვაწეებთან" ერთად საღამ-საღამოობით ბაღებსა და სხვა საეჭვო ალაგებში დაძვრებიან ბოღმა-დარდების განსაქარვებლათ... მეორე წევრი სარევ. კომისიისა კი კომუნისტობისათვის ზის „არა ბაღებში, არამედ სულ სხვა ალაგას."

რაც შეეხება ცენტრალურ კომიტეტს ამაზე-კი ღირს უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკოთ და ფარდა ავხადოთ მათი დუმილის მიზეზს.

ეტყობა სასურსათო კომიტეტი იმ თავითვე, დღიდან არჩევისა გრძნობდა რომ უცენტროთ ბევრ ხისმე ვერ შეიჭგებდა და დაადგა მოქნილ პოლიტიკას...

ჯერ კიდევ წინანდელი სასურსათო კომიტეტს ჰყავდა შეძენილი რამოდენიმე ათეული მსხვილ ფეხა საქონელი, რომელიც უნდა ხორცათ მოხმარებოდა თბილისის კვანძის მუშებს. მაშინ ეს რაღაც მიზეზით შეწყდა, საყასბო დაიკეტა. ახალმა კომიტეტმა არც აკითა, არც აცხელა და აიღო ეს საქონელი, მათში ბევრი მეწველი და მაკე ძროხები, დაიბარა ცენტრის წევრები და ერთმანეთ შორის გაინაწილეს ნაყიდობის ფასებში ე. ი. ცოცხალი წონით 5 მ. 50 კ. გირვანქა, იმ დროს, როცა საყასბო ზარალით დაიხურა და ბაზარზე ერთი სამათ ღირდა ხორცი და საქონელი.

საილუსტრაციოთ აქვე ვთავსებთ საარაკო სიას:

ნიკო ბერეჟიანს — ცენტრალური კავშირის თავმჯდომარეს 1 მაკე ძროხა — 4015 მან.

ცენტრალური კავშ. კომიტეტის წევრებს:

ნასიძეს 1 ძროხა 2,640 მან.

ცენტერაძეს 1 ძროხა ხბოიანი 5,280 მან.

სასურსათო კომიტეტის რწმუნებულებს:

თხილავას სამი სული, სულ 8,140 მან.

ვაშაკიძეს ორი სული 6600 მან.

კალაძეს 1 ძროხა სული 3300 მან.

ეკონომიის გამგეს, სადაც ეს საქონლები ინახებოდა 4 სული 7,645 მან.

ამრიგათ 13 სული საქონელი გაიყიდა 37,620 მან. ეს მოხდა 1919 წ. ნოემბერში და საქონელი გიიკვანეს ეკონომიიდან ა. წ. აპრილში. ფული კი უმეტესობას დღესაც არ აქვს გადახდილი.

ამაზ გარდა ბ-ნი ცენტრის წევრთ აქვთ გატანილი „ნისიათ და, რაც თავი და თავია, ნახევარ ფასებში სხვა და სხვა საქონელი 20-30-40 ათასი მანეთისა.

ვთავსებთ ხიან მუშების საყურადღებოთ. *)

1) თავმჯდომარე ნიკო ბერეჟიანს 30,200 მან. (ამაში ხავერდი 11 არშინი×60 მ.).

წევრებს:

2) ვასო სიხარულიძეს 23,745 მან. (ხავერდი 20 არშ.)

3) გძელიძეს 18,553 მან (ხავერდი 12 არშ.).

4) ნასიძეს 32,270 მან. (ხავერდი 13 არშ.).

5) მიხ. შენგელიას 41,000 მან.

6) ვ. ცენტრაძეს 24,700 მან. (ამაში ხბოიანი ძროხა 5280 მ.).

7) ბუაონიას 18,700 მან.

8) დვალიშვილს 23,600 მან.

9) ი. გიორგაძეს 12,100 მან.

10) ლალიძეს 9,360 მან.

11) ზაფათავას 7,900 მან.

12) სარეკ. კომის. თავმჯდომარე კალხეთელიძეს 40,000 მან.

ამა რაღა სათქმელია, რომ ასეთ პირობებში ჩაყენებულნი ისინი მოკლებულნი იქნებიან კრიტიკის უნარს და თუმცა ყველა ზემოხსენებულ ხელმძღვანელ, მარა „მორცხვათ" სდუმან.. და განა რა აქვთ სათქმელი? „შენც სუ და მეც სუ"-ო...

და ეი ასეთი ხალხი უდგას საათავეში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთად ერთ ბურჯს — რკინის გზებს, რკინისგზელ. დემოკრატიას!... ამის შემდეგ ვაშა გასაკვირველია, რომ რკ. გზ. ცენტრალური კომიტეტი ისე თავგამოდებით იცავდა სამტრედიელ კიკაბიძეს? „მდგომარეობა ქმნის შეგნებას", კიკაბიძემ თუ რამდენიმე თუ მანი აწაპნა თითო ფუთ სიმინდზე, ისინი ხომ მთელათ ნაღლებს ხდიან სასურსათო კომიტეტს! ამის შემდეგ ამ ვაეპატონებს კიდევ შესწევთ გამბედაობა მუშების დამცველათ მოგვაჩვენონ თავი... აი ეხლაც „რკინის გზელი"-ს № 41-ში „გამომდგარა ვინმე ვ. ბე — ლი და ასეთი ხავერდის ენით ამბობს კომუნისტებს:

„ინსინუაციები, საშინელი ჭორები, დაუსაბუთებელი ბრალდებები, უფასო დემაგოგია და უსაზღვრო ლანძღვა-გინება"... თითქო მართლა ბ-ნ ვ. ბე — ლს რგებოდეს ბბოიანი ძროხა და კომუნისტები მის წართმევას ლამობდენ — ისეა გაწიწმატებული... ბოვიხსენებ ბ-ნ ვ. ბე — ლს, რომ დაუმსახურებელ ლანძღვა — გინებას და დაუსაბუთებელ ბრალდებებს ჩვენ ჩვეული არა ვართ და ეს რომ ლიტონ სიტყვათ არ ჩამომართვათ, ამასთან ერთად ეუდგენ რედაქციას ზემოაღნიშნულის უტყუარ ოფიციალურ საბუთებს. *) ცენტრალურ კომიტეტს წინადადებას ვაძლევ. შესაძლებლათ გამოგზავნოს ბ-ნი ვ. ბე — ლი თუ გინდ ვ. ცენტერაძე... რკინის გზის მუშებს კი ურჩევ როგორც იესომ იფრინა წმინდა ტაძრიდან ფარისეველნი და თავხედი ვაჭრუკები, ისე დიდი ცოცხით ხელში მიმავალ ყრილობაზე დაფერთხოს ულირსი მეთაურები და ცენტრშიც ააყენოს ღირსეულნი, რომელნიც მაკედ. მეწველ ძროხებს კი არ დაეხარბებიან, აოაშედ კეთილსინდისიერათ ეხელმძღვანელებენ რკინის გზის პროლეტარიატს მის ბრძოლაში არსებობის ჰურისთვის, მის ბრძოლაში კლასობრივ მიზნის განხორციელებისათვის.

ბარონი.

*) ეს ცნობები დაახლოვებით შეეხება სექტემბრის პირველ რიცხვებს. ამის შემდეგ სასურს. კომ. მიიღო დიდძალი მანუფაქტურა და ფეხსაცმელები და ნისიაც ერთი-ორათ და ერთი-სამათ გადიდდა.

*) ყველა საბუთები და მასალები რედაქციაშია.

„ახ. კომუნ." რედაქცია.

ვისი რწმუნებულნი არიან?

ზუგდიდის რაიონის კოოპერატივთა კავშირის ყრილობაზე, ხალხის უმუშევლო ნაწილის მოკლებულნი, ხელოვნურათ კომასიების შეგზით დამოწმებული და არა კოოპერატივის წევრთა კრების მიერ მიცემული მანდატით, საარჩევნოთ გაკოცხლებული, მკვდარი, არ არსებულ „კოოპერატივების" წარმომადგენლებით, მ. ნწევიკვბა უმრავლესობა შექმნეს და თავისი „წარმომადგენლები" გამოგზავნეს თფილისში.

კოოპერატივთა კავშირის ყრილობას სხვათა შორის დაესწრებიან ესენიც.

*) ეს ცნობები დაახლოვებით შეეხება სექტემბრის პირველ რიცხვებს. ამის შემდეგ სასურს. კომ. მიიღო დიდძალი მანუფაქტურა და ფეხსაცმელები და ნისიაც ერთი-ორათ და ერთი-სამათ გადიდდა.

*) ყველა საბუთები და მასალები რედაქციაშია.

„ახ. კომუნ." რედაქცია.

როგორც გავიგეთ ზუგდიდ ხამურ ყანოს რაიონის კოოპერატივთა კავშირში ირიცხებიან გაცილებით მეტი კოოპერატივები, ვიდრე ნამდვილათ მოქმედობს. აგრეთვე ბევრ სოფლებში, სადაც ხალხმა უნდობლობა გამოუცხადა კავშირის გამგეობას, გახსნილია „კოოპერატივის" სახელით სავაჭრო განყოფილებები, სადაც ზევიდან ჩაყენებული არიან გამგეთ, მენშევიკები და ხალხმხოლოდ ყიდვის უფლება აქვს. ამ ნაირ „კოოპერატივთან" ხალხს საერთო არაფერი აქვს.

ჩვენ ვეკითხებით ბ.ბ. „დელეგატებს ვისი რწმუნებულნი არიან?

ა. კახაბელი.

ჩვენი ფოსტა.

გ. ციმბირელს: წერილი ბორჩალოდან არ გამოგვგზავნა. გამოგზავნე სხვ. მოკლე და შინაარსიანი.

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი

განცხადებანი.

გამოცემულია „ეროვნული ვარსკვლავი"

გამოსულია.

1. ვინ არიან კომუნისტები (ბალშევიკები). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერნაციონალი მომაკვდავი და ინტერნაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
3. მ. კასპიელი. ვინ სტყუის? ფ. 10 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ფ. 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი და ომის საკითხი. ფ. 15 მ.
7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.
8. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლიუციაზე.

იბეჭდება:

9. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუნიზმის ანბანი.

დამზადებულია დასაბეჭდათ:

10. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონალური კავშირები.
11. მინინი. რელიგია და კომუნიზმი.
12. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
13. ნ. გეტერი. ფით აიხსნება რუსეთში სოციალისტ. რევოლიუციის აღვილად გამარჯვება.
14. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომ. ენტ. კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—71 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია ბასკეჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღია ა ღილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია ბასკეჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91. ბიურო ღია დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135. ბიურო ღია სად. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის მეექვსე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ. საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების აწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღია დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ. საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). ბიურო ღია დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ. საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღია დილის 10—1 ნახ. ადე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

სტამბა „ეროვნული დიდიებანის" № 3.